№ 197. სექტემბრის 12, ოთხშაბათი. 1866—1884 სექტემბრის 12, ოთხშაბათი. № 197.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაქაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე [illegible] განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

აზნაური სპირიდონ გიორგის-ძე ლექავა და მისი და ტერეზია გიორგის ასული გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართა თავიანთ ძმის კოლეჟსკის ასესორის თეიმურაზ გიორგის-ძე ლექავას გარდაცვალებას და მოიწვევენ მიცვალებულის გასასვენებლად სექტემბრის 13-ს დილის 12-ს საათზედ სოფ. ქვალითიდგან, სტან. ყვირილას მახლობლად, ცხრა-წყაროს საყდარში. (2—2)

## არწრუნისეული თეატრი

კვირას, სექტემბრის 16-ს.

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

ეჭვით ავადმყოფი

კომედია 3 მოქმედ. თხზ. მოლიერისა.

II

ბიძიასთან გამოხუმრება

ვოდევილი 1 მოქმედ. გადმოკ. თ. რაფ. ერისთავისაგან.

მოთამაშენი: მ. მ. საფაროვი—აბაშიძისა, მ. მძინარიშვილისა, ვ. მელიქიშვილისა, კ. ყიფიანი, დ. აწყურელი, ნ. თომაშვილი, კ. მაქსიმიძე, ვ. პეტრიძე და სხვ.

ანტრაქტებში დაუკრავს ორკესტრი

ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი 8 საათზედ.

ამ ენკენისთვის თექვსმეტს არის დანიშნული

## კრება გორის მაზრის მომხმარებელთა საზოგადოებისა

მოსასმენლად ამ საზოგადოების გამგეობის წევრების პასუხისა იმათ მოქმედების და ანგარიშთა გამსინჯველ კომისიის წევრების მოხსენებაზე, და ახალი გამგეობის და რჩევის წევრების ამოსარჩევად. (3—3)

## შინაური ქრონიკა.

═ გუშინ სათავად-აზნაურო სკოლაში, ჩიტახოვის ახალს შენობაში, გადაიხადეს პარაკლისი, რომელზედაც დაესწრნენ მოსწავლენი, მასწავლებლები, მშობლები ბავშვებისა და რამდენიმე უცხო პირნი. ახალი შენობა ისე მოწყობილია სასწავლებლისათვის, რომ, ვგონებთ, ერთსა და ორს სასწავლებელს არა ჰქონდეთ თბილისში ამისთანა შესაფერი სადგური. ოთახები საკმაოდფართოებია, ორ-წყება ოთახებს შუა მოქცეულია გრძელი და განიერი სარბიელი, რომელიც ზამთარში ეზოს მაგიერობას გასწევს. თითონ ეზოც საკმაოდ დიდია.

სწავლა დაიწყო პარაკლისის შემდეგ. ბავშვებს სახეზედ ეტყობოდათ, რომ თითქო უწინდელი ვიწრო შენობის შემდეგ ამ ლაზათიან სუფთა სახლში უფრო თავისუფლად, ხალისიანად გრძნობდენ თავსა. სხვა არა იყოს-რა, ცოდვაც არის, რომ მასწავლებლებმა ამ მშვენიერს შენობაში სრული თავიანთი ძალ-ღონე და მეცადინეობა არ მოახმარონ ჩინებულს საქმეს ახალი თაობის აღზრდისას.

═ გორის საოსტატო სემინარიაში აქამომდე ცალკე მასწავლებელი იყო დანიშნული ქართულის გალობისა და სიმღერისათვის, რომელიც ამასთანავე რუსულს გალობასა და სიმღერასაც ასწავლიდა. ეხლა, როგორც შევიტყეთ, ამ მასწავლებლის მაგივრად ისეთი მასწავლებელი გაუმწესებიათ, რომელსაც რუსულის გალობისა და სიმღერის სწავლება შეუძლიან მხოლოდ.

═ დღეს, საღამოს 8 საათზე, «წერა-კითხვის საზოგადოების» დარბაზში დანიშნულია სხდომა «დრამატიული საზოგადოების» მმართველობის წევრთა. დიდად სასურველია, რომ ეს სხდომა უთუოდ შესდგეს, რადგან დრამატიულის დასის ანტრეპრენიორი მოუთმენლად ელის შემთხვევას სათეატრო ტანისამოსისა და რეპერტუარის თაობაზე მოსალაპარაკებლად.

═ ყველას, ვისაც კი შემთხვევა ჰქონია რკინის გზით სიარულისა, ეცოდინება, რომ ხშირად მატარებელზედ მყოფ მოსამსახურეთ მუქთად დაჰყავთ სხვა-და-სხვა პირნი, რომელთაც ბილეთს არ აღებინებენ და თავად ართმევენ ბილეთის ნახევარ ან მესამედს ფასს. რკინის გზის მთავრობას ენერგიული საშუალებანი უხმარნია ამ გვარ ბოროტ-მოქმედებათა მოსასპობლად.

═ ჩვენ გვწერენ, რომ «ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის» განყოფილება, რომელიც გადატანილ იქმნა ძველ სენაკში, გაიხსნება ოფიციალურად სექტემბრის ნახევარ რიცხვებში. იმ შეგირდების გარდა, რომელნიც ქუთაისიდამვე გადაიდენ სკოლის განყოფილების გადატანისათანავე, ახალს სკოლაში მიიღეს კიდევ 45 შეგირდი. ამათ რიცხვში ოზურგეთის მაზრიდამ მხოლოდ ერთი ყმაწვილია, რადგან იმის მეტი არავინ გამოცხადებულა; დანარჩენები ზუგდიდის მაზრისანი არიან. სკოლაში შესვლის მსურველნი ისე ბევრნი იყვნენ, რომ თითქმის ნახევარზე მეტს ვაკანსიის უქონლობის გამო უარი გამოეცხადათო.

═ «წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» ხელ-ნაწერთა ბიბლიოთეკასთან დაარსებულს მუზეუმს ამ დღეებში მოუვიდა დიდად საყურადღებო შემოწირულობა. ეს შემოწირულობა არის ირაკლის დროს დაარსებულის დავით რექტორის (ტუკია, გვარად ალექსეევ-მესხიევი, მწიგნობრობის დიდი მოყვარე,) საწერ იარაღთა კოლექცია. კოლექციაში მოიპოვება სხვათა შორის: კალმის დანა მომინდვარი, ფარგალი, წიგნის დასახატავი და სხვ. პატივცემული თ. რ. ერისთავი, რომელმაც შემოსწირა ეს კოლექცია, ამით საუკეთესო მაგალითს უჩვენებს იმ პირთა, რომელთაც სახლში ბევრ-გვარი საარხეოლოგიო და საისტორიო განძი მოეპოვებათ, ძველთა დროთა მოსაგონარი და ან არ ემეტებათ, რომ იგი მთელს ქვეყანას დაუბრუნონ, „წ. კ. საზ“. შუამავლობით, ან და არ იციან, რა დიდი მნიშვნელობა

«დროების» ფელეტონი, სექტ. 12-ს

## ერთი ადმინისტრატორი და მისი უსაფუძვლო პროექტი

«სოფლის სამოსამართლო წესის ნაკლულევანებისა» გამო, «დროება» №№ 185 და 186

(წერილი რედაქციისადმი.)

(დასასრული*)

როგორც ვსთქვით, ავტორს ჰგონია, რომ დიდს საზოგადოებას თან მოჰყვება საკმაო რიცხვი ღირსეული მოსამართლეებისა. თუ ეხლა მცოდნე პირები ცოტანი არიან, ეს იმიტომ, რომ სასოფლო საზოგადოებანი ბევრიაო და მცოდნე პირთ რიცხვი კი ცოტაო. მაგრამ მარტო ამ აზრის მიხედვით როდი შეიძლება სოფლების საზოგადოებად დაყოფა. მცხოვრებელთა რიცხვის დაყოფა ადმინისტრატიულ ერთეულებად ყოველთვის სხვა-და-სხვა მოსაზრებით არის ხოლმე გამოწვეული. ავტორის აზრს რომ მივყვეთ, მაშინ არა თუ პატარა საზოგადოებისა, — არამედ ზოგიერთა მაზრების და იქნება გუბერნიების გაუქმებაც დასჭირდეს მთავრობას, რადგანაც ჯერ კიდევ საკმაოდ არა ჰყავს მას ყოველგვარი ღირსებით შემკულნი მოღვაწენი...

აი სწორედ ამ უსაფუძვლო მოსაზრებამ ავტორი მიაყენა მეორე შეცდომას. თუ ეხლა გლეხობაში საკმაოდ არ მოიპოვებიან მცოდნე პირნი, რომელთაც მოსამართლეობა უნდა იკისრონ, «მოსამართლე, შეიძლება, გლეხთაგანიც არ იყოსო». მაგრამ თუ ეს წადილი შესრულდა, მაშინ ხომ ძირეულად შეიცვლება ეხლანდელი აზრი და მიმართულება სასოფლო სამართლისა, მაშინ სამართლის ბედი და იღბალი მთლად გავლენიან პირებს ჩაუვარდებათ ხელში.... ჩვენს დროს უმეტესად ამ გვარ პირებს შეადგენენ სხვა-და-სხვა უსაქმო პირნი, სწორედ მოსამართლეებადაც ესენი იქნებიან ამორჩეულნი. სხვებს ხელიდამ გამოეცლება თავიანთი სამართალი, და ეს უკანასკნელი აღარ იქნება «სკოლა», სადაც იგი ზნეობითად უნდა იზრდებოდეს. დაარსდება ახალის ფერის ჭეოდალური სასამართლო, გასუფთავებული ბურჟუაზულის ლაქით. სასამართლოს ამ გვარ სისუფთავეს, რასაკვირველია, ხელს შეუწყობს ის გარემოება, რომ „მოსამართლეს ჯამაგირი დაენიშნება“...

ჯერ ეხლაც კი, არჩევანის დროს, სხვა-და-სხვა გავლენიანნი პირნი საქმეში ერჩირებიან, ყოველგვარ საშუალობას ხმარობენ, ისეთი გლეხები ამოირჩიოს საზოგადოებამ, რომელნიც მათ მეგობრობას გაუწევენ და თუ ჯამაგირი დაიდო, მაშინ ხომ თვით ეს გავლენიანი პირები შეიქნებიან მოსამართლეებად. მეტადრე ეს უნდა ითქვას იმ სასოფლო საზოგადოებებზედ, სადაც თავად-აზნაურობა სცხოვრობს...

ეხლა ხშირად შეხვდებით, რომ იქ, სადაც კი ნაბატონარნი სცხოვრობენ, სოფლის მოხელენი ბევრჯერ მათის ხელის მითითებით ირჩევიან...

მაგრამ აქ მკითხველი ერთს შენიშვნას მოგვცემს: «ამორჩევითი უფლება ხომ მარტო გლეხობასა აქვს და ექნება კიდეც მინიჭებულიო. შიში არაფრისაა. თუ კანდიდატი არ ევარგება, არც ამოირჩევენო» და სხვ. ამისთანაები... საქმეც ის არის, რომ ჩვენი გლეხობა არც ისე მაღლა სდგას თავისი განვითარებით, რომ გარკვევით ესმოდეს — რა დიდ ძალას შეადგენს მისთვის ამორჩევითი უფლება. სწორედ აწინდელი ურთიერთობა წოდებათა შორის, გლეხობის განუვითარებლობა არის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი, რომელიც აბორ-

*) იხილე «დროება» № 196.

აქვს იმ გარემოებას, რომ ერთს ალაგას შეკრებილი იქნება ყოველივე სახსოვარი და მოსაგონებელი ჩვენთა წინაპართა მოღვაწეობისა წარსულში.

— ველაზრისკენ გატარებული საცხენო რკინის გზისთვის ერთს ალაგას ქუჩის პირი საშინლად არის ჩათხრილი. ამ ალაგს მოაჯირი სრულად არა აქვს და აგერ, ვგონებთ, მეორე თუ მესამე შემთხვევა ყოფილა, რომ იქიდამ კაცი გადმოვარდნილა და ვაგონის მსხვერპლი შექნილა.

— „წერა-კითხვის საზოგადოების“ მმართველობას ჰქონია ამას წინად პირველი სხდომა საზაფხულო ვაკაციების შემდეგ და სხვათა-შორის გადაუწყვეტია შემდეგი: სოფ. ხელთუბანში ახლად გახსნილ სკოლის მასწავლებლობის კანდიდატად ხუთს მსურველში მოიწვიოს ერთი მათგანი და მიაცემინოს სასინჯი გაკვეთილი და თუ კარგად მისცემს, ამოარჩიოს მასწავლებლად. წინააღმდეგს შემთხვევაში გამოსცადოს მეორე კანდიდატი. ამის გარდა, გადაუწყვეტია აღმოუჩინოს შემწეობა წინამძღვრიშვილის მიერ გამართულს სამეურნეო სკოლას სახელმძღვანელო წიგნებით და ნივთებით, რომელთა ღირებულობა სამს თუმანზე მეტს შეადგენს.

ამ სხდომაზედვე გადაუწყვეტია გაეგზავნოს წიგნები და ნივთები: (წინარეხის სკოლას, ბათუმისას და თონეთისას, ღირებულობით 150 მან., მიუცია რაოდენიმე ფული უსაჭიროესი წამლების სასყიდლად თონეთის სკოლის მასწავლებლისათვის სასოფლო აფთიაქის შესადგენად და ყვავილის აცრის იარაღის სასყიდლად.

— გაზ. „კავკაზს“ სწერენ ალბულაღიდგან, რომ ყივანა ხველა ამ აცრავების გამო უფრო გაძლიერებულა. აგვისტოს 29-დგან დაწყობილი 11-მდე ყმაწვილი მოკვდა. დღეს 43 ყმაწვილზე მეტი კიდევ ავად არის ამ ავადმყოფობითა. არც ექიმი თურმე სადმეა — არც ერთი, არც მეორე. სამხედრო ექიმები შველოდენ ხალხს აქამომდე უსასყიდლოდ, მაგრამ ახლა იმათაც ველარა გააწყეს რა ასე გაძლიერებულის ავად-მყოფობის წინააღმდეგ.

— «რუსკი კურიერის» სიტყვით, ერთს რუსეთში დაარსებულს საზოგადოებას განუზრახავს სერბიის სატახტო ქალაქ ბელგრადში ნავთის დიდის საწყობის გამართვა. ამ საზოგადოებას აზრადა აქვს რუსეთის ნავთის შემწეობით სრულიად განდევნოს ამერიკის ნავთი ნორჩი სახემწიფოს მაზრებიდამა.

— სამეგრელოში, ოჩამჩირის არემარეზე, აგვისტოს დამლევს, საშინელი წვიმები ყოფილა და ნიაღვარს დიდი ზარალი მიუცია სოფლებისათვის.

## „დროების“ კორესპონდენცია

ს. კალაური (თელავის მაზრა), აგვისტოს 30-სა. თუმცა შარშანდელმა ეგვიპტის და წრევანდელმა საფრანგეთის ხოლერამ მთელი ქვეყანა ფეხზე დააყენა, ახმარებინა სხვა-და-სხვა საშუალებანი მის საწინააღმდეგოდ, მაგრამ ჩვენ ყურსაც არ ვიბერტყავთ — ყველგან ჩვეულებრივი უსუფთაობა გვეჩხირება თვალებში. სასუქის გროვები ისევ უწინდებურად აყუდებულან მთასავით ყოველი სახლის წინ, საქათმეები ცხვირ წინ, საქონლის გომურები სახლის ქვეშ, ნაგავიც სახლის გვერდით, ჩამომპვარტლული სახლები, ერთის სიტყვით ყველგან უსუფთაობასა ხედავ. მაგრამ ეს უმთავრესი ექიმი ხოლერისა კინაღამ არ დამავიწყდა!?. მე მოგახსენებთ, სოფელში გამართულ კალოებზე. დღისით სანამ მზე დგა, სიცხე გიხუთავს სულს. საღამოთი რომ იტყვი — ეხლა კი ღმერთმა გვიშველა, ცოტა გრილ ჰაერს ჩავყლაპავთო — დადგება კალოებზე ისეთი მტვრის კორიანტელი, რომ კარში თავს ვერ გამოჰყოფ.

მაზრის უფროსის თანაშემწემ ამას წინად რომ გამოუცხადა ხალხს ეზოების გასუფთავება და კალოების სოფლს გარედ გატანა, არამცთუ გლეხებმა, არამედ იქ მდგომმა თავადებმაც კი გამოუცხადეს, რომ ეგ შეუძლებელიაო. ამის მიზეზად ის წარმოადგინეს, რომ სოფელს გარედ ალაგები არა გვაქვსო (რასაკვირველია, როგორც გლეხებს, ისე თავადებს). ეს სრული სიცრუე გახლავთ. რომელი სოფელია, რომ სოფელს გარედ მინდვრები არა ჰქონდეს? სოფლის ბოლოდან დაწყებული, ალაზნამდე ექვსი-შვიდი ვერსის სივრცეზე სულ სახნავი მინდვრები არ არის? განა იქ არ შეიძლება კალოების გამართვა? მაგრამ, რაკი წინად სოფელში გვქონიაო კალო, ეხლაც იქ უნდა იყოსო. რა გაეწყობა? ამათთანა ულოდინარი მეცნიერები, რომ გადაელობებიან ამისთანა კეთილ საქმეს, იქ რა გარიგდება? რა წამს წარმოსთქვა მაზრის უფროსის თანაშემწემ კალოების სოფელს გარედ გატანაზე სიტყვა, მაშინვე იქ მდგომთა გაიკვირვეს — ეს როგორ შეიძლება, ალაგები სად არისო და ამ სასარგებლო განკარგულებაზე ჯერ-ჯერობით აღარა თქვა-რა მაზრის უფროსის თანაშემწემ. კარგი იქნება, რომ მთავრობამ ყური არ ათხოვოს ამათთანა მოჩივლებს, იხმაროს ეხლა მაინც სხვა-და-სხვა საშუალებანი სოფლის გასასუფთავებლად და ეს სასარგებლო განკარგულება აღსრულებაში მოიყვანოს; მხოლოდ კი თავის დროზე გამოუცხადოს ხალხს, რომ უდროო-დროს არ აქოთქოთოს იგი.

თუმცა ვაჩნაძიანელი თავადების და კალაურელების გადაკიდება მთის გამო — არ ახალია, ძველია, მაგრამ ორიოდე სიტყვა კიდევ უნდა მოგახსენოთ ამაზე. ვისაც მოახელებენ ამ სადაო მთაში ვაჩ—ლები სცარცვავენ, საქონელს შინ ერეკებიან და ურემსა და კალოში აბამენ. კალაურელებიც ამგვარად ექცევიან ვაჩ—ლებს, თუ მოახელეს; ასე რომ დღესაც კი ჰყავთ ვაჩ—ლებს კალაურელების საქონელი.

ერთ კალაურელ მინდვრის მეველეს კალაურელივე კაცის სიმინდში მოესწრო ვაჩ—ლის საქონლისთვის და ამ სიმინდის პატრონისთვის მიერეკნა. ეს კალაურელი კაციც ამდგარიყო და კალოში შეება საქონელი. როდესაც აქ მაზრის უფროსის თანაშემწე იყო, ვაჩნაძიანელმა კაცმა უჩივლა კალაურელს, რომ საქონელს არ მაძლევსო. კალაურელმა უპასუხა, წანახედს სანამ არ მომცემს — არ მივცემო. მაგრამ სხვებმა სხვანაირად გადასცეს მაზრის უფროსის თანაშემწეს საქმის შინაარსი: მათ უთხრეს, რომ კალაურელმა კაცმა მთიდან დაიპარა საქონელიო. ამაზედ უფროსი ძალიან გაჯავრდა და უბძანა კალაურის მამასახლისს, დღესვე ჩააბარე საქონელი პატრონსაო. — ბატონო, შენი ჭირიმე, — უპასუხა მამასახლისმა — თუ წანახედს არ მისცემს, საქონელს არ გავატან. ზადამთარგმნელმა (იგივ დისტანციის უფროსი) განრისხებით უთხრა მამასახლისს: «ნაჩალნიკი“ გიბძანებს და როგორ შეგიძლიან არ აასრულოს? — «ნაჩალნიკს თუ კი ჩვენზე აქვს ძალა, ვახნაძიანელებზე კი არა აქვს?» დაიძახა ერთმა კალაურელმა, ი. მა — შვილმა. ამაზე გაჯავრდა მაზრის უფროსის თანაშემწე, შეადგინა აქტი, მოწმებად თავადები დაწერა და დაემუქრა ი. მა — შვილს, რომ ამას, საცა ალაგია, იქ წარვადგენო. მაგრამ მა—შვილისა რა ბრალი იყო? ის ამბობდა, რომ, თუ კი წანახედს არ მისცემს, საქონელი რად მისცესო; მაგრამ ამ საწყლის კანო-

---

ძიკებს აღრჩევის უფლებას, უშლის მას აღორძინებას...

უმრავლესობა ჩვენის ინტელიგენციისა ქალაქებში სცხოვრობს და სოფლისათვის ზურგი შეუქცევია. თუ თითო-ოროლა პატიოსანი და მცოდნე პირი კიდევ მოიპოვება სოფლებში, ესენიც თავის საქმეს ადგანან, მოხელეებად არიან. ძნელად მოსალოდნელია, რომ ამათ სოფლის მოსამართლობა იტვირთონ. დანაშთენი ნაწილი პროვინციალურის ინტელიგენციისა წარმოადგენს ისეთს გონებით და ზნეობით ხალხს, რომ მისი საზოგადოებრივს ასპარეზზედ «გამოხოხორიკება“ სასოფლო სამართალს განძს ვერ შესძენს, თემიდის ტაძარს ვერ დაამშვენებს...

ჩვენში ისე როდი გახლავთ, როგორც სხვაგან, მაგ., რუსეთში, სადაც ბევრი მცოდნე და განვითარებული ახალ-გაზრდა განგებ მიდის სოფელში და იქ იღწვის...

საქართველოს ინტელიგენციამ ქალაქებში მოიყარა თავი, ორ სამ ადგილას დაიბუდა და სოფელი კი მშრალზე დააგდო. წარმოიდგინეთ, რომ «მცოდნე და სინიდისიერი მოსამართლე» საზოგადოებამ უნდა ამოირჩიოს პროვინციალურის ინტელიგენციის წრიდამ. განა მართლა ეს «მცოდნე და სინიდისიერი» მოსამართლე მოიპოვება ამ წრეში? უთუოდ შეუძლებელია, ასეთი პირი ამ წრეში იპოვოთ. ვისაც კი ცოტაოდენი ცოდნა აქვს და კანონებისა თითო-ოროლა „სტატია“ დიდის ჭაპან-წყვეტით შეუსწავლია, ის პირველადვე პატარა არზის დაჯღაბნისათვის სცარცვავს, ტყავს აძრობს. მობძანდით სოფლად, გაიცანით ამ მცოდნე პირთა ცოდნის ვითარება, მათი ზნეობითი სახე და მაშინ თითონ თქვენვე დარწმუნდებით, რომ ვინც კი ცოტა რამე იცის და გაეგება «სტატიებისა», თავის ცოდნას წინააღმდეგ ხმარობს. გლეხობა თვისი უბიწო და უმანკო ზნეობით, თვისი გაურყვნელის გონებით დაშორებით მაღლა სდგას ამ პროვინციალურ გმირებზედ, რომელთაც მცირე ცოდნასთან უმცირესი სინიდისიც კი იშვიათად მოიპოვებათ. და შემდეგ ყოველივე ამისა ჰსურთ, რომ ამ გმირებმა ფეხი შესდგან სამართლის «წმინდა ტაძარში»!.. მხოლოდ საზოგადოება ირჩევს ხოლმე ამ გვარ მცოდნე პირთა სოფლის მწერლებად, მაგრამ რაო?— განა არა ჰხედავთ და კითხულობთ ურიცხვ კორესპონდენციებში მათს საქციელს, მოქმედებას?!. იქნება, მკითხველი განრისხდა და სჯავრობს კიდეც... მაგრამ რას ვიზამთ, როდესაც სინამდვილე სწორედ ასეთს სურათს წარმოადგენს!..

ჯამაგირის დაწესება ცოტად თუ ბევრად უშველის სასოფლო სამართალს. თითონ ჩვენ ვურჩევენით ეს ერთს წერილში, რომელიც დაბეჭდილი იყო შარშანდელს «დროებაში» («შენიშვნა სოფლის თვითმმართველობაზე» №№ 162 და 163), მაგრამ ჯამაგირი მაშინ უნდა დაწესდეს, თუ ისევ გლეხი დარჩება მოსამართლედ და სხვას უფლება არ ექნება მოსამართლედ დადგომისა..... ისეც უნდა ითქვას, რომ ვერც ჯამაგირი შესძენს ახალს სამართალს (პროექტის სასამართალოს) მცოდნე და სინიდისიერს პირებს. საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში მოიპოვებიან არა თუ სასოფლო საზოგადოებანი, არამედ დიდი რაიონებიც, სადაც წერა-კითხვის მცოდნე კაციც-კი ძნელი საშოვნელია. ამას წინად ერთმა ქართველმა, რომელსაც ამ ბოლოს დროს ნახტომი შეეშალა და „ბედის-წერის ბძანებით“ უკულმართობა-ღა შერჩა ხელში, რუსულ გაზეთში «ახალი მიმოხილვა» მთლად დუშეთის მაზრას ანბანის უცოდინარის სახელი უწოდა. ჩვენ არ ვიცით — სრულს ნამდვილს ბძანებს ეს ახალის ფორმაციის გმირი, თუ სტყუვის; მხოლოდ ამის თქმა კი შეგვიძლიან, რომ, თუ მას არ ვერწმუნეთ, თუ მის მოძღვრებაზედ ეჭვი შევიტანეთ, მაშინ

ნიერი სიტყვები უკანონოდ იცნეს უკულმა გადათარგმნის წყალობით.

ი. ვარდოსანიძე.

## წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო!

«დროების» მე-192 ნუმერის ქრონიკაში, ენკენისთვის 5-ს, არის დაბეჭდილი ოთხი საპასუხო კითხვა: ორი დრამატიული საზოგადოების კომიტეტის წევრთაგან, (რომელნიც «დროების» რედაქციას თურმე აღარ ასვენებენ ამ კითხვებით:) „გვითხარით, სადა სდგას თ. რ. ერისთავი, ან როდის შეგვკრებავს, რომ თეატრის საქმე ვიფიქროთ და მოვაგვაროთ რამეო“. და ორიც—თვით რედაქციისაგან: „სექტემბერი დადგა კიდეც (?), რუსული წარმოდგენები (?) დაიწყო და რას ფიქრობენ, ან წევრები, ან თვით თავს-მჯდომარე დრამატიული საზოგადოების კომიტეტისა“...

პირველს ორს კითხვაზედ, მე, ჩემის მხრით, მინდა პირ-იქით ვკითხო იმ პირთ, რომელთაც აღძრეს ზემოხსენებული კითხვები: 1) რისთვისა ჰსურთ, რომ იცოდენ ჩემი ბინა? (ვისაც ჩემი ნახვა ჰსურს—თუ ბინა არ იცის—ადვილად მომაგნებს «ადრესის სტოლით»... არც დაკარგული კაცი ვარ და არცა რა ვის ვემალები.); 2) თავსმჯდომარედ რომ ამოურჩევივარ დრამატიული საზოგადოების კომიტეტში, ჰქონდათ, თუ არა სახეში,—ან ამორჩევის დროს, ან შემდეგ—ჩემი სურვილი და თანხმობა ამ მოვალეობის მიღებისა ჩემს თავზე?.. ეს სურვილი და თანხმობა არ გამომიცხადებია და არცა ვარ მზა ვიკისრო მძიმე მოვალეობა და ტვირთი ხსენებული თავს-მჯდომარეობისა... მაშ რაღა საფუძველზედ დამეძებენ? და თუ მე ვერ მომაგნეს, თავსმჯდომარის თანაშემწეც ხომ ეყოლებათ ამორჩეული და რატომ იმას არ მიჰმართეს ამ სასწრაფო საქმეზე?.. ყოველს შემთხვევაში, რომ საზოგადოებას არ დაურჩეს საწყენად და უმადურობა არ შემწამონ, მივიღებ თავსმჯდომარის მოვალეობას მხოლოდ ერთის კრებისათვის, რომელსაც ვნიშნავ ოთხშაბათს, 12 ენკენისთვეს, საღამოს 7 საათზედ წერა-კითხვის საზოგადოების“ ბიბლიოთეკის ზალაში.

ახლა „დროების“ რედაქციის უკანასკნელს ორს კითხვაზედ.

პირველს კითხვაზე: «...რას ფიქრობენ ან წევრნი»...—ეს პასუხი ეკუთვნის: რატომ მაშინვე არა ჰკითხა რედაქციამ, იმათ, როცა ისინი ხშირად მიდიოდენ რედაქციაში და „აღარ ასვენებდენ“ მას?!...

მეორე კითხვაზე: „...(რას ფიქრობს) ან თვით თავს-მჯდომარე დრამატიული საზოგადოების კომიტეტისა“...—ვერას მოვახსენებ, რადგან მე თავსმჯდომარეობა არც მიკისრია და ვერც ვკისრულობ... ამ გვარი კითხვით მიჰმართეთ იმას, ვინც გაბედნიერდება ამ თანამდებობისათვის ამორჩევით, შემდეგ დანიშნულის პირველის კრებისა.

ერთს-ორს სიტყვას დავსძენ ამ მოკლე ეპისტოლეს. საკვირველია, რომ, ამ უკანასკნელს ხანებში, ჩვენს მწერლობაში ბევრნი ოხუნჯები გამოჩნდენ და ისვრიან წინდაუხედავად სიტყვებს, ხან «ახალს მიმოხილვაში» და ხან სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთებში. ეტყობა, ამ ოხუნჯებს, ძრიელ სქელი პირის კანი ჰქონიათ, რომ სიწითლეს გარეთ ველარ გამოატანა...

რაფ. ერისთავი.

## უცხოეთი.

**საფრანგეთისა და ჩინეთის საქმე.** ტონკინის ექსპედიციის კორპუსის კომანდირად საფრანგეთის მმართებლობას გენერალი ბრიერ დე-ლილი დაუნიშნავს და ამ გარემოებას, ჰავასის სააგენტოს სიტყვით, ძრიელ კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია ჯარზე.

ხსენებული სააგენტოს განოელი კორესპონდენტი იწერება, რომ ხმა გავრცელდა ვითომც ჩინელები ტონკინში შესეულიყვნენ და ცდილობდენ აღძრან ფრანცუზების წინააღმდეგ იუნანის და კვანგი-სის მცხოვრებლები.

ჩინეთიდგან ძლიერ ნაკლებად მოდის იქაური ამბები და ამისგამო აი რას იწერება ერთი ფრანცუზული გაზეთი“: ჩინეთიდგან თითქმის არავითარი საინტერესო ცნობა არ მოდის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ ამბავს, რომელიც ამტკიცებს, რომ იმპერატრიცას მართლა გამოუცია ბძანება, რომლის ძალითაც სამართალში უნდა მიეცნენ ის მოხელენი, რომელნიც საფრანგეთთან მორიგებაზედ ხმას ამოიღებენ.

ლონდონის გაზეთებში კიდევ იწერებიან, რომ ინგლისის ელჩს გაუფრთხილებია კიანაში, შანხაის არსენალში, მოსამსახურე ინგლისელები —თუ საელჩოს ზღუდეში არ გადმოხვალთ, მე ბრალი ამიყრია, თუ ღამე რამ უბედურება მოხდაო.

ერთი ინგლისური გაზეთი ამტკიცებს, რომ ყველა იმ ინგლისელთ, რომელნიც ჩინეთის ფლოტზე მსახურობენ, გაიგეს თუ არა საფრანგეთისა და ჩინეთის შორის ომის დაწყება, მაშინათვე დასტოვეს ჩინეთის სამსახური და ტიან-ძინში წავიდენ, თუმცა ჩინეთის მმართებლობა ორკეცს ჯამაგირსა ჰპირდებოდა მათ.

—

**ხოლერა იტალიაში.** ის საშინელება, რომელიც ხოლერამ დაატრიალა იტალიაში, ჩვეულებრივს შიშს აღემატება. სამხრეთ საფრანგეთში მცხოვრებლები იმის ნახევრადაც არ დაუფთხია ხოლერას, როგორც იტალიელები. აი რასა სწერენ ამის შესახებ გაზეთები:“ 30 ათასს მილიონ მცხოვრებში მხოლოდ [illegible] მოკვდა და ხალხი გამოუთქმელმა შიშმა, თითქმის უგუნურებამ შეიპყრო. ყველა იმას მოქმედობს, რაც თავში მოუვა. არამცთუ კერძო პირნი, არამედ ადგილობრივი მთავრობანი და კომიტეტნიც ისე გადაირივნენ, რომ აღარ იციან, რასა სჩადიან. ბევრ ქალაქთ ზემო, შუა და ქვემო იტალიაში დაჰკეტეს კარებები და აღარავის უშვებენ იქ. დაბებს და სოფლებს გარეშემო დაიარაღებული მცხოვრებლები არტყიან. ზოგიერთა ბურგომისტრებმა და პრეფექტებმა განკარგულება მოახდინეს, რათა მათდამი მინდობილ ქალაქებში და მაზრებში არც ერთი მგზავრი არ შემოუშვან, ვიდრე არ დაამტკიცებენ, რომ ისინი, ვიდრემდის აქ მოვიდოდენ, ოცი დღე იმისთანა ადგილებში იყვნენ, სადაც ხოლერა არ არის. ტყუილად უმტკიცებენ მათ, რომ დიფტერიტი, საოფლე და სხვა ავადმყოფობანი უფრო ბევრს ხალხს ხოცავენ, ვიდრე ხოლერა. საკმაოა ერთმა ვინმემ დაიძახოს სიტყვა ხოლერა და ხალხის გონებაში მსწრაფლად აღსდგებიან ყველა შუა-საუკუნოების ცრუმორწმუნებანი შესახებ კუდიანებისა და სხ. თუ ხოლერა ამაზედ მეტად გაძლიერდა, საქმე ხოცვა-ჟლეტამდის მივა, რადგან ეხლაც ექიმებს და მოხელეთ ბევრს შეურაცხებას აყენებს ხალხი“.

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

სექტემბრის 11-ს

**პეტერბურგი.** განზრახვა აქვთ გაამრავლონ რიცხვი სტანოვოი პრისტავებისა და ამასთანავე ერთად შეამცირონ თითოეულის სტანის სივრცე 25—30 ვერსამდე.

**კიევი.** გუშინ გაიხსნა კრება აღმზრდელ და გამწვრთვნელ სა-

---

არც ჩვენ და არც პროექტის ავტორს ტლინკები არ აგვსცდება... დიაღ, ჩემო ბატონო, პროექტი ვერ გააჩენს იმ პირებს, რომელნიც ჯერ არ დაბადებულან, ვერ იპოვის მცოდნე პირებს იქ, სადაც ანბანიც არ იციან...

პროექტის ავტორმა თვითვეულს ახალს მოსამართლეს მოვალეობად აი რა დაუწერა: «მოსამართლე ვალდებული იქნება საქმეები გაარჩიოს ყოველ-დღე და არა უქმე-დღეობით, როგორც ეხლაა». ჩვენ არ გვესმის —რას ნიშნავს სიტყვა «ყოველ-დღე». თუ ამ სიტყვას თავისი ნამდვილი აზრით მივიღებთ, მაშინ ხომ მოსამართლის სამსახური შეუძლებელი იქნება. არც დასვენება, არც დღესასწაული,...

სად გაგონილა ეს? რომელი მოსამართლე იკისრებს „ყოველ-დღე“ სამსახურს და მეტადრე სოფლად, სადაც მშვენიერი ბუნება ასე იზიდავს კაცის გულს და უნებლიედ ართობს მას?! ან რომელს სამსახურშია მიღებული «ყოველ-დღე» მუშაობა? თუ ეხლა სასოფლო სასამართლოებში უქმე-დღეობით არჩევენ საქმეებს, ამას თავისი მიზეზი და მოსაწონი საბუთი აქვს,—ამითი დიდი შეღავათი ეძლევა გლეხობას, ბევრი ემატება. ხომ მოგეხსენებათ—რა ძნელია გლეხისათვის მუშაობის მოცდენა, იმ დროს სასამართლოში რბენა, როცა სხვა, უფრო დიდად საჭირო საქმე ზურგზე აწევს. სწორედ ამ გვარმა საჭიროებამ გამოიწვია ის პრაქტიკა, რომლის მოსპობა უსაფუძვლოდ მოუნდომებია პროექტის ავტორს...

ერთი ცვლილება, რომელსაც ითხოვს პროექტის ავტორი, სწორედ საჭიროა სასოფლო სასამართლოსათვის. ეხლა, როგორც მოგეხსენებათ, სოფლის მოსამართლეს არ შეუძლიან გაარჩიოს საქმე, თუ მომჩივარი და მოპასუხე სხვა-და-სხვა საზოგადოებას ეკუთვნიან. ეს გარემოება ბევჯერ გლეხს უბრალო საქმისათვის აწვალებს მომრიგებელ მოსამართლესთან. ამისათვის ავტორს კარგად განუძრახავს, როცა თხოულობს: „მას (სოფლის მოსამართლეს) შეეძლება საჩივრების მიღება თავის საზოგადოების წევრებზედ, თუნდ მოჩივარი სხვა საზოგადოებისაც იყოს». მაგრამ ამ მუხლში ახალი არა არისრა, იგი მთლად ამოწერილია სამოქალაქო პროცესის კანონიდამ. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ზემოდმოხსენებული ცვლილება გლეხობას თავიდამ ვერ მოაშორებს ცუდ-უბრალოდ წოწიალს მომრიგებელ მოსამართლესთან. ეს წოწიალი მიუცილებელი შედეგია საზოგადო კანონების გამოურკვევლობისა. ხშირად მომრიგებელ მოსამართლეს და გამომძიებელს შეტაკება მოსდით—ეს საქმე შენ გეკუთვნის და არა მეო. გლეხიც ხეტიალობს და გაშტერებულს ვერა გაუგია-რა... ესევე უნდა ითქვას სოფლის მოსამართლეებზედ: ისინი, ისეთს საქმეს იღებენ, რომელიც მათ არ ეკუთვნის. არც მომრიგებელი მოსამართლე იქცევა ისე, როგორც რიგია. ესეც საჩივარს უბრუნებს გლეხს, მე არ შემეხებაო, თუმცა კი საქმე მას შეეხება და არა სოფლის მსაჯულთა...

ამითი ვათავებთ პროექტის განხილვას. რამოდენადაც შესაძლო და მოსახერხებელი იყო, ჩვენ ვუჩვენეთ პროექტის ნაკლულევანება. უკეთუ ავტორი ღირსს გახდის საზოგადოებას და პროექტს თავისი საბუთებით დაბეჭდავს რომელიმე გაზეთში, ან ჟურნალში, მაშინ ჩვენ არ დავიზარებთ და უფრო ვრცლად მოველაპარაკებით მკითხველებს. ეხლა კი ჩვენ ხელში გვქონდა „დროების“ ორი პატარა წერილი და პროექტის ჩონჩხი, ისიც თითისოდენა.

ნ. ურბნელი.

გორი.
31 აგვისტოს.

მეურნეო და სახელოსნო დაწესებულებათა წარმომადგენლებისა.

**ზაგრები.** აქ შემოიღეს სამხედრო კანონები იმ უწესოებათა გამო, რომელნიც არჩევანების დროს მოხდა. ვენიდამ ჯარები გაგზავნეს. გაზეთი ,,თავისუფლება'' აღკრძალულ იქმნა და მისი რედაქტორი დაატუსაღეს.

**ლონდონი.** გენერალი უოლსლეი ტელეგრამით იწერება, რომ საჭირო არ არის ეგვიპტეში ორის ბატალიონის გაგზავნა, რადგანაც ხართუმიდამ კარგი ამბები მოდის და შემდეგისთვის მსწრაფ-მსრბოლნი რაზმნი იმოქმედებენო.

**კაირი.** საფრანგეთისა, გერმანიისა და ავსტრიის დელეგატები წინააღმდეგობას აცხადებენ ეგვიპტის სახელმწიფო ვალის გადახდის შეჩერების გამო; რუსეთისა და იტალიის დელეგატებს ჯერ ინსტრუქციები არ მიუღიათ.

**რომი.** სექტემბრის 21 (ჩვენებურად 9) სრულიად იტალიაში ავად გახდა ხოლერით 548, მოკვდა 296 კაცი. ამ რიცხვში ნეაპოლში 305 ავადმყოფი იყო, ხოლო მოკვდა 161.

## ცნობანი

უკანასკნელ ტირაჟში 500 მანეთიანი მოუგიათ შემდეგს ბილეთებს:

| სერია | № | სერია | № |
|---|---|---|---|
| 9785 | 9 | 17911 | 41 |
| 7427 | 30 | 5164 | 9 |
| 17787 | 40 | 2171 | 38 |
| 14335 | 3 | 10105 | 35 |
| 4401 | 44 | 8280 | 11 |
| 8117 | 8 | 13223 | 2 |
| 10628 | 9 | 7696 | 43 |
| 16048 | 21 | 3660 | 1 |
| 13932 | 3 | 16559 | 7 |
| 17751 | 40 | 17816 | 8 |
| 9770 | 29 | 9587 | 29 |
| 3416 | 13 | 10880 | 16 |
| 3008 | 28 | 5961 | 41 |
| 14850 | 16 | 13151 | 18 |
| 7177 | 11 | 14822 | 2 |
| 18248 | 28 | 9211 | 27 |
| 2273 | 50 | 19873 | 4 |
| 16292 | 4 | 16946 | 3 |
| 13303 | 39 | 8509 | 18 |
| 3381 | 9 | 3932 | 28 |
| 5055 | 36 | 19893 | 15 |
| 4209 | 44 | 5139 | 40 |
| 12490 | 12 | 5026 | 33 |
| 6449 | 34 | 15412 | 9 |
| 4688 | 11 | 8218 | 31 |
| 13289 | 5 | 1654 | 36 |
| 6698 | 43 | 16934 | 23 |
| 5047 | 18 | 7690 | 19 |
| 13521 | 27 | 10133 | 32 |
| 3629 | 13 | 10107 | 48 |
| 9125 | 38 | 10772 | 8 |
| 16098 | 37 | 17765 | 16 |
| 1504 | 47 | 2522 | 34 |
| 15581 | 9 | 6707 | 19 |
| 14016 | 31 | 15070 | 11 |
| 19631 | 32 | 8069 | 25 |
| 11929 | 42 | 12212 | 16 |
| 15295 | 36 | 12132 | 38 |
| 8432 | 31 | 15245 | 12 |
| 8586 | 21 | 9274 | 10 |
| 17574 | 7 | 19634 | 40 |
| 17451 | 16 | 8038 | 19 |
| 11167 | 26 | | |

| სერია | № | სერია | № |
|---|---|---|---|
| 11816 | 6 | 9709 | 44 |
| 5119 | 18 | 4979 | 39 |
| 12968 | 33 | 4920 | 39 |
| 187 | 37 | 5948 | 23 |
| 8219 | 23 | 7083 | 32 |
| 8878 | 6 | 1711 | 44 |
| 8376 | 42 | 4341 | 32 |
| 13450 | 11 | 13747 | 48 |
| 18321 | 35 | 13082 | 9 |
| 14229 | 7 | 3106 | 33 |
| 4616 | 5 | 12305 | 20 |
| 15627 | 45 | 17927 | 8 |
| 8859 | 12 | 3376 | 37 |
| 7412 | 26 | 12460 | 15 |
| 19270 | 21 | 1856 | 44 |
| 18849 | 20 | 18163 | 47 |
| 11142 | 20 | 19844 | 39 |
| 9175 | 44 | 8036 | 43 |
| 5241 | 47 | 10188 | 46 |
| 3755 | 23 | 15919 | 38 |
| 2561 | 2 | 16244 | 33 |
| 768 | 45 | 18454 | 44 |
| 14426 | 8 | 13039 | 33 |
| 14054 | 14 | 11481 | 45 |
| 19119 | 38 | 1084 | 5 |
| | | 9840 | 14 |
| 17490 | 10 | 12589 | 49 |
| 8338 | 46 | 10412 | 18 |
| 10074 | 31 | 2869 | 37 |
| 10776 | 25 | 15484 | 5 |
| 3232 | 2 | 11394 | 8 |
| 6604 | 43 | 8399 | 43 |
| 7037 | 25 | 4653 | 23 |
| 9215 | 24 | 6713 | 10 |
| 5547 | 43 | 6051 | 48 |
| 15236 | 50 | 1880 | 25 |
| 684 | 7 | 2458 | 18 |
| 11877 | 21 | 5098 | 34 |
| 9037 | 7 | 10894 | 44 |
| 19227 | 30 | 8207 | 26 |
| 7668 | 2 | 9925 | 10 |
| 3543 | 21 | 4961 | 13 |
| 8256 | 11 | 16106 | 33 |
| 18192 | 14 | 13031 | 15 |
| 12324 | 1 | 10970 | 28 |
| 2858 | 5 | 6454 | 6 |
| 15586 | 28 | 2933 | 45 |
| 1294 | 26 | 3547 | 50 |
| 12231 | 9 | 14236 | 40 |
| 3286 | 10 | 10927 | 25 |
| 5453 | 3 | 15385 | 2 |
| 18930 | 25 | 14055 | 49 |
| 9941 | 1 | 16184 | 19 |
| 1558 | 50 | 10682 | 29 |
| 10212 | 17 | 13622 | 44 |
| 12768 | 17 | 2822 | 15 |
| 13763 | 28 | 8715 | 39 |
| 3307 | 19 | 8371 | 20 |
| 13779 | 35 | 612 | 35 |
| 3490 | 22 | 5215 | 41 |
| 4064 | 47 | 9010 | 31 |
| 2592 | 28 | 4965 | 3 |
| 15194 | 14 | 2727 | 4 |
| 13328 | 50 | 12532 | 47 |
| 12249 | 4 | 5136 | 17 |
| 17341 | 29 | 1681 | 28 |
| 8497 | 37 | 9268 | 16 |
| 11082 | 6 | 18821 | 4 |
| 4684 | 18 | 6508 | 44 |
| 2274 | 20 | 8302 | 19 |
| 11503 | 45 | 14858 | 21 |
| 4633 | 38 | 4957 | 26 |
| 11353 | 14 | 8357 | 9 |
| 19294 | 32 | 6440 | 19 |
| 4661 | 7 | 3703 | 21 |
| 17724 | 7 | 13753 | 46 |
| 12727 | 12 | 2056 | 29 |
| 5346 | 7 | 5020 | 50 |
| 13049 | 24 | 5179 | 47 |
| 12260 | 13 | 768 | 6 |
| 4958 | 50 | 7774 | 7 |

| სერია | № | სერია | № |
|---|---|---|---|
| 12886 | 37 | 15558 | 25 |
| 19352 | 6 | 11196 | 33 |
| 13741 | 6 | 13866 | 10 |
| 16289 | 31 | 18175 | 20 |
| 16245 | 41 | 6014 | 21 |
| 3215 | 31 | 13587 | 7 |
| 1387 | 33 | 7964 | 42 |

შემდეგი სერიები გამოსულან ტირაჟში და მათი პატრონები მიიღებენ თითო ბილეთში მხოლოდ 125 მანათს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 6490 | 16606 | 19691 | 8125 |
| 14021 | 6926 | 8883 | 11076 |
| 3733 | 11562 | 2406 | 11270 |
| 7848 | 18507 | 122 | 16213 |
| 14131 | 2557 | 8024 | 19332 |
| 4222 | 1512 | 2927 | 19531 |
| 11029 | 9212 | 1861 | 3941 |
| 14305 | 19376 | 1970 | 5334 |
| 1065 | 938 | 3537 | 7605 |
| 12361 | 8390 | 7140 | 10542 |
| 16298 | 11566 | 4593 | 14077 |
| 15695 | 8016 | 14470 | 14487 |
| 15138 | 15276 | 8793 | 17907 |
| 19504 | 8359 | 17472 | 17455 |
| 2979 | 2325 | 13383 | 18033 |
| 8262 | 4084 | 10355 | 18652 |
| 10889 | 15346 | 17652 | 1446 |
| 1565 | 14772 | 11147 | |
| 17675 | 19989 | 4032 | |

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| აჭაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჭვავის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 7 კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | 6 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 7 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. — | კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. — | კ. |

ეროვნული

## განცხადებანი


**პანსიონი ა. მირზაშვილისა.**

გადავიდა ელიზავეტინსკის ქუჩაზედ, ტერ-საკოვის სახლებში, № 114.

მოწაფეთ მიღება სექტემბრის 1-დგან დაიწყობა. (10—10)

**LA VÉRITABLE SALSEPAREILLE COLBERT**

(ნამდვილი სალსეპარეილი)

არჩენს სისხლის ყოველსავე უწმინდურებას და ავადმყოფობას. უფთხილდით მიმბაძავთ. ეტიკეტზე უნდა იყოს წითლად მოწერილი J. PLATEAU. ფაბრიკის ნიშანი წარდგენილია. რომ არ მოსტყუვდეთ, მიმართეთ უფრო ს. ზურიკოვს და შახპარონიანცს. (8—8)

**ინგლისის მაღაზია**

**Maison de confiance**

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2—,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2—,, | — 3 — ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ უკეთესი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—61)

**ახლად გახსნილი**

**სამეხანიკო ქარხანა**

**„სოფლის მეურნე“**

გადმოვიდა ახალს სადგურში გოლოვინის პროსპექტზე № 11, სახლი რეიტერისა (სადაც უწინ იყო «Общество Бережливости»). (5—3)

**არწრუნისეულ ქარვასლაში**

სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მაღაზიები, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—6)

**თბილისის ქალაქის გამგეობასა**

**სურს იქირაოს სადგური 6—8 ოთახამდე,**

ორის სარდაფით (კლადოვაია), სამზარეულოთი, ორქავბიანი ქურით და რუსული ფეჩით; უნდა იყოს აგრეთვე საჯინიბო სამის სული საქონლისათვის და ეტლი სარაიით. ეს სადგური საჭიროა ერთის დაწესებულებისათვის; ფასი 750 მანეთამდე წელიწადში. ვისაც ამისთანა სადგური აქვს, სთხოვენ მიმართოს გამგეობის კანცელარიაში დილის 8 საათიდამ 1 საათამდე ყოველ დღე, გარდა კვირისა და უქმე დღეებისა. (3—2)


Доз. ценз. Тифлисъ, 11 Сентября 1884 г. სტამბა არ. პალაწნდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი